ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №35

23 იანვარი 2024 წელი

11:30 საათი

ა/წ 23 იანვარს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ლევან აბაშიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ნათია მოდებაძე;
5. სოფიო ჯაფარიძე;
6. მამუკა გუგეშაშვილი;
7. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა საკითხის წარმომდგენს, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს.

პროექტის მიხედვით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის (შემდგომში - წესი) პირველი მუხლის მე-2 პუნქტში გაჩნდება დამატებითი ჩანაწერი დევნილის/ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებთან დაკავშირებით, კერძოდ, წესი არ გავრცელდება დევნილის/ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებზე/ოჯახებზე მაშინაც კი, თუ ოჯახის ერთ წევრს მაინც მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი. აღნიშნული ჩანაწერი განპირობებულია იმით, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. ამავე კანონით დეტალურადაა განსაზღვრული დევნილთა საცხოვრებელ ფართებთან დაკავშირებული უფლებების დაცვაც, მათ შორის, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პირობები, რომელიც მათ საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში გადაეცემათ. თუკი ოჯახის ერთ წევრს მაინც მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი, მას შეუძლია ისარგებლოს ზემოაღნიშნული კანონის ფარგლებში განსაზღვრული უფლებებით, მათ შორის უზრუნველყოფილი იქნეს საცხოვრებელი ფართით, რაც გამორიცხავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის გავრცელებას ასეთ პირებსა და მათ ოჯახის წევრებზე.

წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატება „ვ“ ქვეპუნქტი, კერძოდ, უსახლკარო პირად რეგისტრაციის დამატებით პირობად განისაზღვრება, რომ განაცხადის შევსების დროს პირი იყოს სრულწლოვანი.

წესის მე-3 მუხლს ემატება მე-2[1] პუნქტი, უსახლკარო პირად რეგისტრაციის გამომრიცხავი გარემოებები: ახალი ჩანაწერის მიხედვით, უსახლკარო პირად რეგისტრაციის გამომრიცხველი გარემოებებია:

ა)უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირის გამოუცხადებლობა ა(ა)იპ-ში;

ბ) უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირის უარი თავშესაფარში საცხოვრებლად განთავსებაზე;

გ) ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას/გამოვლენისას, რომლის შედეგადაც უსახლკარო სტატუსის მაძიებელმა პირმა თავშესაფრის მიღების მიზნით, ხელოვნურად წარმოქმნა მისი უსახლკაროდ რეგისტრაციის საფუძველი, მათ შორის, ისეთი ფაქტის გამოვლენისას, რომელიც ადასტურებს პირის მხრიდან არასრული ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებას და/ან დროებითი საცხოვრისის მისამართის, დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლის შესახებ, ინფორმაციის დამალვას.

აღნიშნული წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, იმისათვის, რომ პირი დარეგისტრირდეს უსახლკარო პირად, ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული განაცხადის ფორმის შევსებისას, მონიშვნის ფორმით უნდა გამოხატოს თანხმობა თავშესაფრით სარგებლობასთან დაკავშირებით. წესის მე-3 მუხლს ემატება მე-2[2] პუნქტი, რომლის

მიხედვითაც, უსახლკარო სტატუსის მაძიებელ პირს შეუძლია ისარგებლოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის" მართვაში არსებული ლილოს მიუსაფართა თავშესაფრით (თავშესაფრით)." აღნიშნული ჩანაწერი არის ინფორმაციული ხასიათის და მიზნად ისახავს იმის დაკონკრეტებას, რომ უსახლკარო სტატუსის მაძიებელ პირს, წესის მიხედვით, შეეთავაზება მხოლოდ თავშესაფარი და არა მაგალითად საცხოვრისი.

წესის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილში შედის ცვლილება და განისაზღვრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ა(ა)იპ-ის მიერ გადამოწმების შემდეგ დადგინდა, რომ პირი აკმაყოფილებს ამ წესით და ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის მართვის სამოქმედო ინსტრუქციით გათვალისწინებულ პირობებს, ა(ა)იპ ატყობინებს ამის შესახებ სამსახურს და სამსახური გამოსცემს ბრძანებას პირის უსახლკაროდ რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ცვლილების, კერძოდ, ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის მართვის სამოქმედო ინსტრუქციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების საჭიროება იკვეთება იქიდან გამომდინარე, რომ ინსტრუქციით გათვალისწინებულია რამდენიმე დამატებითი პირობა, რომელთა შეუსრულებლობაც ხელს უშლის პირის უსახლკაროდ რეგისტრაციას.

ცვლილება შედის და დამატებითი ჩანაწერი ჩნდება ასევე, წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში, კერძოდ, ორ სულიან ოჯახებთან დაკავშირებით. ორ სულიანი ოჯახის შემთხვევაში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში ოჯახის ორივე წევრი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე უწყვეტად და ამასთანავე, ბოლო 2 წლის განმავლობაში ორივე წევრი უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების მომენტისთვის რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. შესაბამისად, მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის თითოეული წევრი არის საქართველოს მოქალაქე უწყვეტად და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი (ორსულიანი ოჯახის შემთვევაში - ოჯახის ორივე წევრი) უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის, ოჯახის წევრი, რომელსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად ის არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში."

წესის მე - 8 მუხლს ემატება 17^1 პუნქტი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, რომ კომისიის მიერ ოჯახის საჭიროებისამებრ ან ყოველ 3 წელიწადში ერთხელ შემოწმების შედეგად, კომისიის მიერ უარყოფითი რეკომენდაციის გაცემისა და მთავრობის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სამსახური გამოსცემს ბრძანებას უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. ვინაიდან, როდესაც უსახლკარო სტატუსის მქონე ოჯახი ვეღარ აკმაყოფილებს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმებს და ამასთანავე, უწყდება ხელშეკრულება ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, აღარ არსებობს უსახლკარო ოჯახის სტატუსის შენარჩუნების სამართლებრივი საფუძველიც.

აქვე, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მიმართულებით როგორც გასული, ასევე 2024 წელიც გამორჩეული იქნება. ჯანდაცვის პროგრამები ფართოვდება, როგორც მუნიციპალურ, ასევე ფედერალურ დონეზე. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ერთიანი მიდგომა და სახელმწიფოს მუდმივი მზაობა, რათა ამ მიმართულებით არცერთი ადამიანი არ დარჩეს არსებული სერვისების გარეშე. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებისთვის სამკურნალო მედიკამენტები 100%-ით ფინანსდება და საჭიროებიდან გამომდინარე, მათ მკურნალობას უწყვეტ რეჟიმში სრული დაფინანსებით დედაქალაქის მერია უზრუნველყოფს. ჯანდაცვის პროგრამების რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია. სახელმწიფო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებით, მუნიციპალურ პროგრამებთან ერთად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, საჭიროების გათვალისწინებით, ადამიანების სრული დაფინანსება მოხდება. არსებული პროგრამა მოიცავს ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალო მედიკამენტების დიდ ჩამონათვალს, მათ შორის გლაუკომის სამკურნალო მედიკამენტებს, რამეთუ ამ დაავადების მქონე ადამიანთა რიცხვი დიდია. ჩვენი მიზანი საზოგადოებისთვის მედიკამენტებზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. აღნიშნულ საკითხს დამსწრე კომისიის წევრების სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე